აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

31/08/2016 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2016 წლის 31 აგვისტოს N38 განკარგულების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. შეუწყდეთ უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბლოკში „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ გაერთიანებული შემდეგი პარტიების წარმომადგენლებს:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ნეიტრალური საქართველო“ წარმომადგენელს - სიმონ ფუტკარაძეს;

ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ - წარმომადგენელს მერაბ სურმანიძეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე